



ლარის გამყარება მოსალოდნელია ნეგატიური მოლოდინების მიღწევის ფონზე, რადგან მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მდგრადია

საქართველოს ეკონომიკა
7 აგვისტო 2019

საქართველოს ეკონომიკა მოსალოდნელზე მაღალი ტემპით 4.9%-ით გაიზარდა 2019 წლის პირველ ნახევარში. ზრდას ხელი შეუწყო როგორც სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებამ, ისე მონეტარულმა და ფისკალურმა პოლიტიკამ. ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებამ 2019 წლის დასაწყისში, ლარით დაკრედიტების სტიმულირება მოახდინა. ამავდროულად, დაჩქარდა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

2019 წლის პირველ ნახევარში საგარეო ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რადგან ექსპორტი, ფულადი გზავნილები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა, ხოლო იმპორტი შემცირდა. აღნიშნულმა ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა უცხოური ვალუტის რეზერვები შეეცხო, რომელმაც რეკორდულ მაჩვენებელს 3.7 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. უცხოური ვალუტის შესყიდვები და ეროვნული ბანკის სხვა ღონისძიებები ხელს უწყობდა ეკონომიკისთვის ლარის ადეკვატურ დონეზე მიწოდებას. აღნიშნული საჭირო იყო ეკონომიკის დე-დოლარიზაციის და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, მაგრამ ამ ღონისძიებებმა ლარის გამყარების ტენდენცია შეანელა.

ინფლაციის ზრდა მიმდინარე წლის მარტიდან ძირითადად თამბაქოზე აქციზის ზრდით იყო გამოწვეული. ამასთან, გაცვლითი კურსის მხრიდან ფასებზე ზეწოლა სუსტი იყო დაბალი მოთხოვნის ფონზე. იენისის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა - რუსი პარლამენტარების ვიზიტთან დაკავშირებული დროებითი პოლიტიკური გაურკვევლობის ფონი და რუსეთის მიერ პირდაპირი ფრენების აკრძალვა - ნეგატიური მოლოდინები გააძლიერა და ლარზე მნიშვნელოვანი ზეწოლა მოახდინა. 2019 წლის 1 აგვისტოს ლარი დოლარის მიმართ ისტორიულ მინიმუმამდე 2.97-მდე გაუფასურდა, რადგან ნეგატიური განწყობები ძლიერდებოდა ივლისში ტურიზმის პროგნოზირებულზე უკეთესი მონაცემების და პოზიტიური მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიუხედავად.

ბაზარზე პანიკის ჩასაცხრობად, ეროვნულმა ბანკმა 1 აგვისტოს სავალუტო ბაზარზე 40 მლნ აშშ დოლარი გამოიტანა, საიდანაც 32.8 მლნ აშშ დოლარი გაიყიდა. სებ-ის ინტერვენციის შედეგად ლარი დოლარის მიმართ 2.97-დან 2.89 ნიშნულამდე გამყარდა (+2.9%) 1-2 აგვისტოს პერიოდში. ამ ინტერვენციას წინ უძღოდა ეროვნული ბანკის განცხადება, რომ მიუხედავად პოზიტიური შიდა და საგარეო მაკროეკონომიკური დინამიკისა, ტურიზმთან დაკავშირებული შოკისა და ნეგატიური მოლოდინების ფონზე, ლარის გაცვლითმა კურსმა ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომელმაც შესაძლებელია რისკი შეუქმნას ფასების სტაბილურობას. ამასთან, სებ-მა აღნიშნა, რომ ის ინტერვენციებს მომავალ დღეებშიც მიმართავს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს თანმიმდევრულად თუ ამის საჭიროება იქნება. აღსანიშნავია, რომ ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (რაც არის შეწონილი კურსი ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან) 10%-ზე მეტად არის გაუფასურებული, რაც ეროვნული ვალუტის ზედმეტად გაუფასურებაზე მიანიშნებს.



იქიდან გამომდინარე, რომ ლარზე მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორები პოზიტიურია (ეკონომიკური ზრდა, საგარეო ბალანსი და სხვ.), ხოლო ივლისის ტურიზმის მონაცემები პროგნოზირებულზე უკეთესია, ამჟამად ლარის გაცვლითი კურსის ფორმირებაში უფრო დიდი წილი აქვს ნეგატიურ განწყობებს ვიდრე მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. ლარის მიმართ ნდობის ნაკლებობა იწვევს ლარის დეპოზიტების ზრდის ტემპის შენელებას და ლარიდან უცხოურ ვალუტაში კონვერტაციას, რაც ლარის სესხების გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად ეროვნულ ვალუტაზე მოკლევადიან ზეწოლას ახდენს.

ვინაიდან, ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურებულია და 2019 წელს საგარეო ბალანსის გაუმჯობესება მოსალოდნელია იმპორტის შემცირების შედეგად, ჩვენი გათვლებით ამჟამად ლარი მის წონასწორულ კურსთან შედარებით 10-13%-ით არის გაუფასურებული. იმ დაშვებით, რომ ნეგატიური მოლოდინები მიიღევა, ჩვენ ველოდებით ლარის აშშ დოლარის მიმართ 2.75-2.80 ნიშნულამდე გამყარებას 2019 წლის ბოლომდე. ამასთან, 2020 წელს ვპროგნოზირებთ ლარი/დოლარის გაცვლით კურსის 2.60-2.65 ნიშნულზე დასტაბილურებას. აღსანიშნავია, რომ სახაზინო ფასიან ქაღალდებზე ბოლო პერიოდში საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარი ელის 4 სექტემბერს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, რაც ლარზე დამატებით პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

სრული კვლევა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ჩვენს ვებ-გვერდზე www.gtresearch.ge



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურიდიული ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზარაბული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურიდიულის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურიდიულის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარისხის უკავშირებლობის და დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმები ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge